

GeoSTM

საქართველოს სტანდარტები
და მეტროლოგია


საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო

2025 წლის ანგარიში



შინაარსი

1. განხორციელებული ღონისძიებები	2
2. სტანდარტიზაცია.....	3-7
3. მეტროლოგია.....	8-16





1. განხორციელებული ღონისძიებები

- 2025 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა საქართველოს მთავრობის დადგენილება სააგენტოს საფასურების დამტკიცების შესახებ, მომსახურების სახეებს დაემატა ახალი სერვისი სტანდარტების კითხვა ონლაინ რეჟიმში.
- 2025 წლის იანვარში სტანდარტების ელექტრონულ პლატფორმაზე გამოქვეყნდა საქართველოს მთავრობის დადგენილება N480 "გაზომვის საშუალებების შესახებ" და N481 "არაავტომატური აწონის საშუალებების შესახებ" ჰარმონიზებული სტანდარტების სია.
- სტანდარტიზაციის ევროპული ორგანიზაციების (CEN/CENELEC) 2025 წლის IV კვარტლის ანგარიშის მიხედვით, ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს სტანდარტების ჰარმონიზაციის მაჩვენებელი შეადგენს 94,99%-ს. 2025 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა საქართველოს მთავრობის დადგენილება სააგენტოს საფასურების დამტკიცების შესახებ, მომსახურების სახეებს დაემატა ახალი სერვისი სტანდარტების კითხვა ონლაინ რეჟიმში.
- ევროპული პროექტის „better goods and service“ ფარგლებში სააგენტოს თანამშრომლებისთვის დაიწყო ინგლისური ენის კურსები.
- სააგენტოში აქტიურად მიმდინარეობს ხარისხის მენეჯმენტის სისტემის სტანდარტის ISO/IEC 17025 მოთხოვნებთან დაკავშირებული სამუშაოები. 2025 წლის თებერვალში განხორციელდა მენეჯმენტის მხრიდან მიმოხილვა. ჩატარდა აუდიტი, სისტემატურად მიმდინარეობს სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისი სამუშაო შეხვედრები.
- ფიზიკურ-ქიმიური ეტალონური განყოფილებაში მიმდინარეობს სტანდარტული ნიმუშების სტაბილიზაცია - ჰომოგენურობის შესწავლა ISO 17034 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.



2. სტანდარტიზაცია

- 25 თებერვლის სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტისა და ხარისხის მენეჯმენტის სისტემაში ჩართული პირებისათვის გაიმართა პრეზენტაცია თემაზე „დოკუმენტირებული ინფორმაცია სსტ ენ ისო 9001 სტანდარტის შესაბამისად“
- ხარისხის მენეჯმენტის სისტემის „ენ ისო 9001“ მოთხოვნების შესაბამისად დამტკიცდა 2025 წლის აუდიტის პროგრამა. ხოლო, მიმდინარე წლის 27 თებერვალს ჩატარდა შიდა აუდიტი.
- სააგენტოს გენერალური დირექტორის 2025 წლის 11 მარტს №18 და 7 ივლისის № 50 განკარგულებით დამტკიცდა 2025 წლის საქართველოს სტანდარტების პროგრამის პირველი და მეორე ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი კომიტეტის ჩართულობით საქართველოს სტანდარტების გადახედვას, ასევე საერთაშორისო/ევროპული სტანდარტების ქართულენოვან ვერსიების მიღებას.
- სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის (ტკ 5) „მშენებლობა და მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტები“: წევრების მიერ მიზანშეწონილად ჩაითვალა „ევროკოდი 8 - სეისმომედეგი კონსტრუქციების დაპროექტება“ და პროექტებზე განხილვის პროცესის შემდგომი გაგრძელება, პოზიციების შეჯერებისა და კონსენსუსის მიღწევისათვის;
- დასრულდა „ევროკოდი 2“-ის და მისი ეროვნული დანართების, ნაწილებისა და ცვლილებების განხილვა. კომიტეტის რეკომენდაციის შესაბამისად, სააგენტოს გენერალური დირექტორის 2025 წლის 22 აგვისტოს № 61-ე განკარგულებით აღნიშნული ევროკოდი დარეგისტრირდა საქართველოს სტანდარტად და გამოქვეყნდა საქართველოს სტანდარტების ელექტრონულ პლატფორმაზე.
- სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის (ტკ 9) ფარგლებში მიმდინარეობდა „ისო 10241-1:2011 - ტერმინოლოგიური ჩანაწერები სტანდარტებში - ნაწილი 1: ზოგადი მოთხოვნები და პრეზენტაციის მაგალითები“ ქართულენოვანი ვერსიის პროექტის განხილვა, ხოლო 26 ივნისს ისო-ს ტექნიკური კომიტეტის ისო/ტკ 46 „ინფორმაცია და დოკუმენტაცია“ და სააგენტოში მოქმედ „ტერმინოლოგიის“ (ტკ 9) ტექნიკურ კომიტეტს შორის თანამშრომლობისა და აქტიური მუშაობის შედეგად დასრულდა საერთაშორის სტანდარტის „ISO 9984 -Information and documentation - Transliteration of Georgian characters into Latin characters განხილვის პროცედურები. ეროვნული კომიტეტის შეჯერებული პოზიცია აისახა ისო-ს ხმის მიცემის პლატფორმაზე.
- საქართველოს მთავრობის 2025 წლის 27 ივნისის №236 დადგენილების საფუძველზე, სააგენტოს გენერალური დირექტორის 2025 წლის 30 ივნისის №46 განკარგულებით ევროკოდი 6 შესაბამისი დანართებით დარეგისტრირდა საქართველოს სტანდარტად და გამოქვეყნდა საქართველოს სტანდარტების ელექტრონულ პლატფორმაზე;



- სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის (ტკ 5) ფარგლებში ფარგლებში დასრულდა „ენ 14509:2013-თვითმზიდი საიზოლაციო პანელები ორმაგი ლითონის მოპირკეთებით-ქარხნული პროდუქტები-ტექნიკური მახასიათებლები“ პროექტის განხილვის პროცედურები, ამავე კომიტეტის მიერ მიზანშეწონილად ჩაითვალა „ევროკოდი 8 - სეისმომედეგი კონსტრუქციების დაპროექტება“ და პროექტებზე განხილვის პროცესის შემდგომი გაგრძელება.
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შეთანხმებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება კომიტეტის „მშენებლობა და მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტები“-ს შემადგენლობიდან ევროკოდების გამოყოფისა და „ევროკოდებზე“ ცალკე კომიტეტის ჩამოყალიბების შესახებ. აღნიშნულის გათვალისწინებით 2025 წლის 16 სექტემბერს სააგენტოში ჩატარდა საინიციატივო სხდომა სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის „ევროკოდები“ შექმნის შესახებ, სადაც სხდომაზე ხმათა უმრავლესობით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კომიტეტის ჩამოყალიბების შესახებ, ასევე არჩეულ იქნა კომიტეტის თავჯდომარე და დასახულ იქნას შემდგომი ნაბიჯები. აღნიშნულის გათვალისწინებით სააგენტოს გენერალური დირექტორის 17 სექტემბრის № 67-ე განკარგულებით შეიქმნა სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტი (ტკ 11) „ევროკოდები“, ამავე განკარგულებით განისაზღვრა კომიტეტის მდივნის კანდიდატურა.
- სტანდარტიზაციის ტექნიკურ კომიტეტს „ევროკოდები“ (ტკ 11) კომიტეტის გადაწყვეტილების შესაბამისად განსახილველად გადაეგზავნა „ევროკოდი 3“ პროექტი შესაბამისი ეროვნული დანართებით.
- 2025 წლის აგვისტოს თვეში დაიწყო შესაბამისი სამუშაოები მეტროლოგიის მიმართულებით სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის შექმნისათვის.
- 2025 წლის აგვისტოში, სააგენტოსა და ლატვიის სტანდარტების ეროვნული ორგანოს (LVS) მიერ შემუშავებულ იქნა საპროექტო წინადადება ჰორიზონ ევროპის ფარგლებში “InDiCo - Global managed ICT sector projects“ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. პროექტი „ICT sector standardisation in EU.NIS 2.Information security standards and their practical application“ მიზნად ისახავს საინფორმაციო უსაფრთხოების სფეროში არსებული სტანდარტებისა და რეგულაციების თაობაზე ცნობადობის ამაღლებასა და შესაბამისი აქტივობის განხორციელებას.
- 2025 წლის, 30 მაისს წარმატებით დასრულდა სტანდარტების დეპარტამენტში ენ ისო 9001:2015 - ის შესაბამისად დანერგილი ხარისხის მენეჯმენტის სისტემის პირველი გარე საკონტროლო აუდიტი.
- 2025 წლის 17 ივნისს და 15 ივლისს სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს PTB - ის მიერ ორგანიზებულ ონლაინ შეხვედრაში, სადაც EAP-ის (აღმოსავლეთ პარტნიორობის



ქვეყნები) წარმომადგენლებთან ერთად შეთანხმდნენ იმ ძირითადი მიმართულებებისა და საკითხებზე, რომელზეც საუბარი იქნება 2025 წლის სექტემბერში დაგეგმილ „სტანდარტიზაციის ფორუმზე“.

- 2025 წლის 2 სექტემბერს PTB- ის ორგანიზებით მოეწყო სტანდარტიზაციის, ხოლო 10 ნოემბერს მეტროლოგიის ფორუმი სადაც მონაწილეობა მიიღეს სააგენტოს წარმომადგენლებმა.
- 2025 წლის 24 ივნისს სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისიის (IEC) - ის მიერ ორგანიზებულ ონლაინ შეხვედრაზე თემაზე: „იეკ -ის წევრობის უპირატესობა და მისი როლი ხარისხის ინფრასტრუქტურის განვითარების პროცესში“.
- 2025 წლის 24 ივნისს სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ონლაინ რეჟიმში მონაწილეობა მიიღეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) მიერ ორგანიზებულ მე-11 სამუშაო შეხვედრაში “მე-11 სპეციალური შეხვედრა ინფორმაციის გაცვლის პროცედურების შესახებ”.
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მიმდინარე წლის 26 ივნისის №1-1/231 ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა „სტანდარტიზაციის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის“. მიმდინარეობს საბჭოს დაკომპლექტების სამუშაოები.
- 26-27 ივნისს, 2025 სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სტანდარტიზაციის ევროპული ორგანიზაციების გენერალურ ასამბლეაში, ასევე ასამბლეის ფარგლებში ორგანიზებულ „CEN/CENELEC-ის აფილირებული წევრების “სამუშაო შეხვედრაზე, რომელიც გაიმართა ლუქსემბურგში.
- საქართველოს სტანდარტების ელექტრონულ პლატფორმაზე (sst.geostm.gov.ge) გამოქვეყნდა ევროკოდები:
 - ✓ ევროკოდი 3
ეროვნული დანართები ლითონის კონსტრუქციების დაპროექტება;
 - ✓ ევროკოდი 2
(ეროვნული დანართები ბეტონის კონსტრუქციების დაპროექტება;
 - ✓ ევროკოდი 6
ეროვნული დანართები ქვის/აგურის წყობის კონსტრუქციების დაპროექტება.







2025 წლის განმავლობაში სტანდარტების დეპარტამენტის მიერ სულ დარეგისტრირდა 3390 სტანდარტი, მათ შორის:

- სსტ ისო, იეკ (საერთაშორისო სტანდარტი): 59 (ისო 45, იეკ 14);
- სსტ ენ (ევროპული სტანდარტი) – 3,320;
- სსტ ენ (ქართულენოვანი) – 8;
- სსტ ეროვნული - 3.

დიაგრამა 1.






2025 წლის განმავლობაში სტანდარტების დეპარტამენტის მიერ სულ გაცემულია 636 სტანდარტი, მათ შორის:

- სსტ ისო, იეკ (საერთაშორისო სტანდარტი) – 103 (ისო 100, იეკ 3);
- სსტ ენ (ევროპული სტანდარტი) - 383;
- სსტ ისო (ქართულენოვანი) - 91;
- სსტ ენ (ქართულენოვანი)-1;
- ასტმ (ტესტირებისა და მასალების ამერიკის საზოგადოება) - 55;
- გოსტ (სახელმწიფოთაშორისი სტანდარტი) – 3.
- სსტ ენ (ქართულენოვანი) - 9;
- სსტ (ქართულენოვანი) – 1;
- ასტმ (ტესტირებისა და მასალების ამერიკის საზოგადოება) - 20;
- გოსტ (სახელმწიფოთაშორისო სტანდარტი) - 13.

დიაგრამა 2.



3. მეტროლოგია

- 2025 წლის მარტში დასრულდა დასაკალიბრებლად გასაგზავნი ხელსაწყოებისა და ეროვნული ეტალონების იდენტიფიცირების პროცესი, ფასთა გამოკითხვის მიხედვით შეირჩა პოლონეთის, თურქეთის, ჩეხეთისა და გერმანიის მეტროლოგიის შესაბამისი ორგანიზაციები, დასრულდა შესყიდვის პროცედურებისათვის საჭირო ღონისძიებები.
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური ლაბორატორიები რეგულარულად უწევენ მომსახურებას დამკვეთებს აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან გაზომვების სხვადასხვა სფეროებში, განსაკუთრებით CMC ჩანაწერებით დაფარულ აღიარებულ სფეროებში.
- სისტემატიურად მიმდინარეობს დაინტერესებული პირებისათვის ლაზერული მანძილმზომების, კიდურა საზომების, საზომი საცრების, ხმაურმზომების, ოსცილოგრაფების, გენერატორების, ლუქსმეტრების, სასწორების, საწონების, ტრანსფორმატორების, მეგაომეტრების, მანომეტრების, ალკომეტრების, არეომეტრების, სტანდარტული ნიმუშების, სალარო აპარატების და ა.შ. დაკალიბრება/დამოწმების და საგამოცდო სამუშაოები სხვადასხვა დაინტერესებული პირებისათვის.
- 2025 წლის 9 თვის განმავლობაში სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის მექანიკის და მასის ეტალონური განყოფილებისათვის შეძენილ იქნა ხელსაწყოები: ერთ არხიანი სიგნალების გენერატორი და ცვლადი ძაბვის ვოლტმეტრი, საწონების ნაკრები. ფიზ - ქიმიური ლაბორატორიისათვის სტანდარტული ნიმუშები და აირები, რადიაციული ეტალონური განყოფილებისათვის სასწორი.
- 2025 წლის ივლისის თვეში რადიაციული გაზომვების ეტალონურ განყოფილებას გადმოეცა რენტგენული დანადგარის X80 –Ray, რომლის დამონტაჟების სამუშაოები დასრულდა აგვისტოში, მიმდინარეობს შესაბამისი ლიცენზიის აღებისათვის საჭირო სამუშაოების განხორციელება.
- სააგენტოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს UNECE მიერ განხორციელებულ სემინარში „ვაჭრობასთან დაკავშირებული ხარისხის ინფრასტრუქტურაში ინკლუზიურობის უზრუნველყოფა გენდერული მენსტრიმინგის გზით“. რომელიც გაიმართა თბილისში მიმდინარე წლის 20-21 თებერვალს.
- 24-28.03.2025 მარტს მოლდოვაში, ქალაქ კიშინოვში PTB პროექტის ფარგლებში ჩატარდა აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონალური სემინარი, თემით: "ხარისხის სტანდარტები აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ვაჭრობის ზრდისთვის" რომელშიც მონაწილეობა



მიიღეს სააგენტოს წარმომადგენლებმა სტანდარტებისა და მეტროლოგიის მიმართულებით. სემინარი ეხებოდა თემას „მომავალი რეგიონალური თანამშრომლობის შესწავლა“ .

- 2025 წლის 28 თებერვალს ქ. რუსთავში, 21 მარტს ქ. გორში, 8 აპრილს ქ. თელავში, ხოლო 28-30 მაისს ქ. ქუთაისში, ზუგდიდსა და ბათუმში PTB-ის პროექტის ფარგლებში, ჩატარდა ცნობადობის ამდლების სემინარი თემაზე: „ხარისხის ინფრასტრუქტურა და მისი როლი ბიზნესის განვითარებაში“, სადაც სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტისა და მეტროლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა, სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოსა და აკრედიტაციის ცენტრის წარმომადგენლებთან ერთად დაინტერესებულ პირების მიაწოდეს ინფორმაცია შესაბამის სფეროში არსებული მომსახურებების, სიახლეების, სამომავლო გეგმების და სხვა შესახებ.
- 2025 წლის თებერვალსა და მარტში განხორციელდა შეხვედრები აკრედიტირებულ ლაბორატორიებთან წნევის, მასის, ტემპერატურისა და ელექტრობის მიმართულებებით, სადაც სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლების მიერ მათთვის გაზიარებული იქნა დაკალიბრების საერთაშორისო გაიდლაინები.
- 2025 წლის 4 აპრილს სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებისათვის ჩატარდა შეხვედრა თემაზე „EURAMET-ის ხარისხის ტექნიკური კომიტეტის სხდომის საკითხების განხილვა“ .
- 2025 წლის 26-28 მარტს სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო „EURAMET-ის ხარისხის ტექნიკური კომიტეტის სამუშაო შეხვედრაში TC-Q.
- 2025 წლის 8-10 აპრილს სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სარაევოში გამართულ „EURAMET-ის ტექნიკური კომიტეტის სამუშაო TC-T (ტემპერატურა) შეხვედრაში.
- 2025 წლის 3-6 ივნისს სააგენტოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ქ. ბერლინში გამართულ EURAMET-ის გენერალურ ასამბლეაზე. აღნიშნული ასამბლის მორიგი შეხვედრა 2026 წელს გაიმართება საქართველოში.
- 2025 წლის 3-6 ივნისს ქ.ლისაბონი ჩატარდა ევრამეტის „ელექტრობა და მაგნეტიზმი“-ის ტექნიკური კომიტეტის EURAMET TC-EM სამი ქვეკომიტეტის და ევროპული მეტროლოგიის ქსელის ჭკვიანი ელექტრული ქსელების EMN-SEG გაერთიანებული შეხვედრები, დაიგეგმა ლაბორატორიული შედარებები სხვადასხვა მიმართულებით, მონაწილეობას ღებულობდა მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელი.
- 2025 წლის 30.09. – 01.10. მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ონლაინ ეროვნული მეტროლოგიური ინსტიტუტების ევრო-აზიური



თანამშრომლობის „მასისა და მასასთან დაკავშირებული სიდიდეების“ ტექნიკური კომიტეტის (T.C. 1.6) 29 შეხვედრაში.

- 2025 წლის 7-9 ოქტომბერს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო COOMET-ის ტექნიკური კომიტეტის შეხვედრაზე TC 1.3 «Electricity and Magnetism».
- 2025 წლის 14 ოქტომბერს ჩატარდა ტექნიკური კომიტეტის EURAMET TC-M , WG Digitalisation meeting ონლაინ შეხვედრა სადაც მონაწილეობა მიიღო მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა.
- 2025 წლის 15-16 ოქტომბერს ქ. ბორას, შვედეთი ჩატარდა ევრამეტის ტენიკური კომიტეტის შეხვედრა EURAMET TC-EM საკონტაქტო პირების შეხვედრა სადაც მონაწილეობდა მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელი.
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტისა და სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს 25-27 აპრილს და 26 ივნისს ექსპო ჯორჯიაში გამართულ გამოფენაზე ხარისხის ინფრასტრუქტურის პროექტის ფარგლებში, სადაც გაიმართა პანელური დისკუსიები დაინტერესებული პირებისათვის და მიეწოდათ ინფორმაცია სააგენტოს საქმიანობის შესახებ.
- 17 მაისს სააგენტოში "ხარისხის სტანდარტები აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ვაჭრობის ზრდისთვის" პროექტის ფარგლებში გაიმართა სამუშაო შეხვედრა.
- 20 მაისს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა გამართა პრეზენტაცია ხსნარების სიმკვრივისა და კონცენტრაციის განმსაზღვრელი დენსიმეტრი DMA™ 1001 Anton Paar სახელმწიფო ეროვნული ეტალონით ჩატარებული სამუშაოს შესახებ, მიმდინარეობს მისი სახელმწიფო ეროვნული ეტალონის რეესტრში შეტანის სამუშაოები.
- 2025 წლის 20 ოქტომბერს სტანდარტების დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს „CEN/CENELEC“-ის მიერ ორგანიზებულ ონლაინ ვორქშოპში „სამუშაო შეხვედრა შესაბამისობის შეფასების ორგანოებისთვის – დაინტერესებულ მხარეების ჩართულობა“.
- 2025 წლის მდგომარეობით, სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო (GEOSTM) დასახელდა, როგორც საჯარო მმართველობის რეფორმის სახელმწიფო სერვისების მიწოდების კომპონენტის ფარგლებში ერთიანი მიდგომების დამნერგავი უწყება სახელმწიფო სერვისების შექმნის (დიზაინის) და მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის მიმართულებებში.
- სტანდარტების დეპარტამენტის თანამშრომელი 2025 წლის, 7 ნოემბერს დაესწრო ონლაინ შეხვედრას, რომელიც სტანდარტიზაციის საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისიის (IEC) -ის ორგანიზებით მოეწყო- „საერთაშორისო თანამშრომლობა და ხელოვნური ინტელექტის (AI) სტანდარტები“;
- ჩატარებული სწავლებები და სემინარები მეტროლოგიის მიმართულებით:
 - ✓ 23 იანვარს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ონლაინ ვებინარში „ამაჩქარებლის ნეიტრონული წყაროს და დოზიმეტრიის ამჟამინდელი მდგომარეობა ბორის ნეიტრონის დაჭერის თერაპიისთვის“



- ✓ 24 იანვარს, 10 თებერვალს, 28 აპრილს, 8 მაისს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო სემინარებში - CABUREK talk თემაზე „Digital signatures“ და "Digitalisation - opportunities and challenges", Cloud vs. on premise - implications and how to take an informed decision", "Digital Calibration Certificates - a closer look at the technological background and practical solutions for machine-actionable exchange of calibration results", "Agile project management - an approach to handling complex requirements and embracing uncertainties"
- ✓ 27-31 იანვარს PTB მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში განხორციელდა გერმანელი ექსპერტის ვიზიტი და ჩატარდა სწავლება სიმძლავრისა და ენერჯის სახელმწიფო ეტალონის გაზომვების ავტომატიზაციის თაობაზე ZERA-ს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით.
- ✓ 2025 წლის 6 თებერვალს ჩატარდა სწავლება KCDB 2.0 პლატფორმის გამოყენება საერთაშორისო შედარებებისთვის - ონლაინ ტექნიკური გაცვლა.
- ✓ 10– 13 თებერვალს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ონლაინ სწავლებაში „განვითარებადი საჭიროებები მეტროლოგიაში. მეტროლოგია სურსათისა და სურსათის უვნებლობისთვის“
- ✓ 26 თებერვალს სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ონლაინ ვებინარში „რადიოაქტიური წყაროების როლი მაიონიზებული გამოსხივების მეტროლოგიაში“.
- ✓ სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს 24-28 თებერვალს გამართულ სწავლებაში - „Proficiency Testing in Georgia – Introduction to EN ISO/IEC 17043:2023“
- ✓ 25 – 28 თებერვალს PTB - ის ორგანიზებით ჩატარდა მე -5 კონფერენცია „International DCC Conference“.
- ✓ 19 მარტს PTB / UNIDO ორგანიზებით ჩატარდა ონლაინ სწავლება „Building legal frameworks for a future-proof Quality Infrastructure“.
- ✓ 2025 წლის 21 მარტს საქართველოს აკრედიტაციის ცენტრში ჩატარდა შეხვედრა მოწვეული ექსპერტებისათვის აკრედიტაციის წესები და პროცედურები სადაც მონაწილეობას ღებულობდა სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელი.
- ✓ 28 მარტს სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღო ონლაინ ვებინარში „რადიონუკლიდური საცნობარო მასალები“.
- ✓ 2025 წლის 31 მარტს ჩატარდა ონლაინ შეხვედრა ახალი საერთაშორისო შედარებების ტექნიკური პროტოკოლის და მოხსენების მასამზადებლად EURAMET-ის ტექნიკური



კომიტეტის-EM-ის მომავალ შეხვედრაზე წარდგენის მიზნით, სადაც მონაწილეობდნენ პორტუგალიის, ლუქსემბურგის, ბელგიისა და საქართველოს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლები.

- ✓ სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს 3 აპრილს BIPM – ის მიერ გამართულ ვებინაშში KCDB Online technical exchanges - CMC Writers and Reviewers
- ✓ 2025 წლის 28 აპრილს ჩატარდა CABUREK-M4DT სამუშაო შეხვედრა რომელშიც მონაწილეობა მიიღო მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა.
- ✓ 7 მაისს გაიმართა ონლაინ ტრენინგი PTB – ის ექსპერტის ხელმძღვანელობით Establishment of PT providers in Georgia.
- ✓ 2025 წლის 14 მაისს ონლაინ რეჟიმში ჩატარდა შეხვედრა „ PTB EaP working group on customer surveys within the framework of our BMZ funded project “Quality Standards for Increased Trade in the Eastern Partnership Countries “. რომელშიც მონაწილეობა მიიღო მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა.
- ✓ სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო 24 მაისს გამართულ ვებინარში - " Updates on X-ray imaging Dosimetry Practices “ (რენტგენის გამოსახულების დოზიმეტრიის პრაქტიკის განახლებები)
- ✓ 2025 წლის 28 მაისს ონლაინ რეჟიმში ჩატარდა ტრენინგების ტრენინგი ToT, ISO/IEC17043:2023 მიხედვით. PTB- ის ექსპერტის მიერ რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა.
- ✓ 27 -30 მაისს PTB Project “Quality infrastructure for value creation, productivity and innovation in the private sector” ფარგლებში სააგენტოში მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებისათვის ჩატარდა სემინარები PTB-ის ექსპერტის მიერ შიდა აუდიტთან და ლაბორატორიულ შედარებებთან დაკავშირებით.
- ✓ 26 – 27 ივნისს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო BIPM ფარგლებში გამართულ შეხვედრას - „ევრამეტის პროექტების განხილვა წნევის სფეროში.
- ✓ 2025 წლის 14 და 28 ივლისს , 25 აგვისტოს და 22 სექტემბერს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო სემინარებში CABUREK talk თემაზე „ Important points in & how to develop a professional and a technical specification " , "Process modelling - approaches & practical example", "Digital-to-Cloud Calibration: From Measurement Capture to Cloud distribution", "QI-Digital: Initiative for the digital transformation of the quality infrastructure“. 17 ნოემბერს კ. ზანგოვი ჩატარდა CABUREK პროექტის დახურვა სადაც მონაწილეობა მიიღო მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა.
- ✓ მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა 2025 წლის 23 სექტემბერს მონაწილეობა მიიღეს ცნობადობის ამაღლების ღონისძიება თემაზე“ სერტიფიკაციის სქემებს BRCGS, GlobalG.A.P. და ISO 9001“.



- ✓ 2025 წლის 30 სექტემბერს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს EUROLAB-UNIDO Webinar Meeting თემაზე "Rethinking Sustainability: Ensuring the long-term viability of laboratories."
 - ✓ მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო 2025 წლის 29 ოქტომბერს EUROLAB-UNIDO-ის ორგანიზებით გამართულ ონლაინ სემინარზე თემაზე: „What does a country need to become more sustainable.
 - ✓ 2025 წლის 27-31 ოქტომბერს ჩატარდა ტრენინგი X80 დასხივების სისტემების ექსპლუატაციისა და უსაფრთხო გამოყენების შესახებ, სადაც მონაწილეობა მიიღეს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა.
 - ✓ 2025 წლის 6 ნოემბერს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა Radwag-ის მიერ ორგანიზებულ ონლაინ ღონისძიებაში, რომელიც ეხებოდა Radwag AS X7 და PS X7 სერიების ახალი მომხმარებლის ინტერფეისის გაცნობას (Radwag AS X7 and PS X7 series – new user interface).
- მეტროლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიები მონაწილეობენ საერთაშორისო და ორმხრივ შედარებებში:
- ✓ COOMET-ის პროექტი #681/RU/16 (BIPM-ის მონაცემთა ბაზაში: COOMET.EM-S22) დენის ტრანსფორმატორების გაზომვების დამატებითი შედარებები. პილოტი - VNIIM-ის ფილიალი FGUP „UNIIM“ (რუსეთი), მონაწილეები: CMI (ჩეხეთი), UMTS (უკრაინა, კიევი), BelGIM (ბელორუსი), UME (თურქეთი), Kazinmetr (ყაზახეთი), MASM (მონღოლეთი). სტატუსი - დამტკიცებულია Approved.
 - ✓ COOMET-ის პროექტი #802/UZ/20 მულტიმეტრის დაკალიბრების პილოტური შედარებები. პილოტი - UzNIM (უზბეკეთი). მონაწილეები: TUBITAK UME (თურქეთი), AzMI (აზერბაიჯანი), INM-MD (მოლდოვა), NSC IM (უკრაინა, ქ. ხარკოვი), VNIIMS (რუსეთი), Kazinmetr (ყაზახეთი), GeoSTM (საქართველო). სტატუსი - გაზომვები დამთავრებულია, მიმდინარეობს ანგარიშის მომზადება Measurements completed, report in progress.
 - ✓ COOMET-ის პროექტი #624/GE/-a13 (BIPM-ის მონაცემთა ბაზაში: COOMET.EM-S19) „ელექტრული წინაღობის ეტალონური ზომების 100 ომი და 100 კომი საერთაშორისო შედარებები“. ამ შედარებებში GEOSTM-ის ელექტრობის ეტალონური განყოფილება ასრულებს წამყვანის (პილოტის) როლს. მონაწილეობს 11 ქვეყნის ეროვნული მეტროლოგიის ინსტიტუტი: GEOSTM (Georgia); VNIIM (Russia); BELGIM (Belarus); AZSTAND (Azerbaijan); IMBIH (Bosnia and Herzegovina); INIMET (Cuba); KazInMetr (Kazakhstan); VMT/FTMC (Lithuania); INM (Republic Moldova); MASM (Mongolia); NSC “Institute of Metrology” (Kharkiv, Ukraine). ანგარიში Draft B შეთანხმების სტადიაზეა.



- ✓ ჩატარდა ორმხრივი ლაბორატორიათშორისი შედარება “სომხეთის რესპუბლიკის სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული ორგანო“-სა (CJSC) და საქართველოს “სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტო“-ს (GEOSTM) შორის მასის სფეროში. პილოტი ლაბორატორია იყო სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის მასისა და მასასთან დაკავშირებული სიდიდეების ეტალონური განყოფილება. გაზომვები ჩატარდა 2 ერთეულ სასწორზე.
- ✓ დასრულდა შედარებები: PT02 - აირის წნევა 35 ბარი, შედეგები ექვივალენტურია, მონაწილე მეტროლოგიის ინსტიტუტები (შრილანკა, უზბეკეთი, ყირგიზეთი, მონღოლეთი, საქართველო) აღნიშნულთან დაკავშირებით PTB - ის ორგანიზებით 25 მარტს გაიმართა- ონლაინ შეხვედრა , სადაც მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლმა წარადგინა პრეზენტაცია.
- ✓ 2025 წლის ივლისი - აგვისტო განხორციელდა ლაბორატორიათშორისი შედარება წნევის გაზომვების სფეროში. რადიაციული გაზომვების ეტალონური განყოფილება წარმოადგენდა პილოტს და სომხეთის რესპუბლიკის ლაბორატორიები CJSC «MTK და სომხეთის ატომური ელექტროსადგური CJSC "AAEK - მანომეტრული წნევა ჰაერზე, წნევის გაზომვის დიაპაზონი (0 ÷ 6.0) ბარი.
- ✓ 2025 წლის აგვისტოში მეტროლოგიის ინსტიტუტის ფიზიკურ-ქიმიური ეტალონური განყოფილება ჩაერთო შედარებაში EURAMET-ის ფარგლებში „მინის მოცულობითი კოლბის კალიბრაცია 500 მლ და 5000 მლ“.
- ✓ ჩატარდა ორმხრივი ლაბორატორიათშორისი შედარება სსიპ-საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოსა და სომხეთის რესპუბლიკის სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის ეროვნულ ორგანოს შორის პლატინის წინაღობის თერმომეტრების დაკალიბრების სფეროში და სიგრძის გაზომვების სფეროში.

#	2025 წლის 12 თვის კვარტლის მდგომარეობით რეგისტრირებულია 8 ერთეული გაზომვის საშუალების ტიპი.
1	„U, AK-411, AK-411P, ST“ წყლის მრიცხველების, „Baylan Ölçü Aletleri Sanayi ve Ticaret A.Ş“ (თურქეთი).
2	„CGR-04“ აირის როტაციული მრიცხველების, ფირმა „COMMON S.A.“ (პოლონეთი).
3	„EUSM GXX 4 ან 2,5 ან 1,6“ ულტრაბგერითი საყოფაცხოვრებო აირის მრიცხველების, ფირმა „ESKA VALVE A.Ş.“ (თურქეთი).





4	„BEKO X DN15; DN20; DN25; DN32; DN40“ წყლის მრიცხველები „Zhejiang Bove Intelligent Technology Co., LTD“ (ჩინეთი).
5	„G1,6(ST); G2,5(ST); G4(ST); G6(ST1); G6(ST2), G10(ST); G16(ST); G25(ST); G1,6(AL); G2,5(AL); G4(AL); G6(AL)“ აირის დიაფრაგმული მრიცხველები, - „QIANWEI KROMSCHRODER METERS (CHONGQING)“ (ჩინეთი).
6	„IUWS“ წყლის მრიცხველების, ფირმა „ZENNER International Gmbh & Co. KG“ (გერმანია).
7	Ultrimis Neo“ (ULN) წყლის მრიცხველის Apator Powogaz S. A. (პოლონეთი).
8	JS, JS130 წყლის მრიცხველების Apator Powogaz S. A. (პოლონეთი).
9	MWN (WPH-01) წყლის მრიცხველის Apator Powogaz S. A. (პოლონეთი).
10	JS (T30 და T50 ტემპერატურის კლასებისთვის) წყლის მრიცხველების Apator Powogaz S. A. (პოლონეთი).
11	FMT-L, FMT-S, FMT-Lx, FMT-Dc აირის ტურბინული მრიცხველების Cavagna Group S.p.A. (იტალია).
12	TK წყლის მრიცხველების Baylan Ölçü Aletleri Sanayi ve Ticaret A.Ş (თურქეთი)
13	KK წყლის მრიცხველების Baylan Ölçü Aletleri Sanayi ve Ticaret A.Ş (თურქეთი)
14	BW-XX წყლის მრიცხველების Baylan Ölçü Aletleri Sanayi ve Ticaret A.Ş (თურქეთი)
15	FMR, FMR-Dual აირის როტაციული მრიცხველების Cavagna Group S.p.A. (იტალია).
16	16.SJ-SDC PLUS წყლის მრიცხველები - ერთჯავლიანი Ningbo Water Meter (Group) Co., Ltd (ჩინეთი).
17	მრავალჯავლიანი მექანიკური ცივი და ცხელი წყლის მრიცხველები MERCAN Series [XX, Standard, Light, 360°, Plastic and Hot] XX: DN (15, 20, 25, 32, 40 and 50)






- ✓ 2025 წლის განმავლობაში ჯამური მდგომარეობით სულ ჩატარებულია გაზომვის საშუალების პირველადი დამოწმების აღიარება 181459 მრიცხველზე, მათ შორის:
 - ელექტრო მრიცხველი - 69 870 ც.
 - აირის მრიცხველი - 105 375 ც.
 - წყლის მრიცხველი - 6 214 ც.

დიაგრამა 3.





GeoSTM

საქართველოს სტანდარტები
და მეტროლოგია



ჩარგლის ქ. 67, თბილისი 0178



(+995 32) 261 35 00



geostm@geostm.ge

www.geostm.ge

www.sst.geostm.gov.ge